ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01210332662**
თარიღი: **02/02/2021**
პინი: **7301**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2021 წლის 28 იანვრის #60-0121028409 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი), რომლითაც მოქალაქე სოფიო ბერიშვილის განაცხადის (AR1800535) საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ქაშანურის“ (საიდენტიფიკაციო N206048819) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #13; ს.კ: 01.17.12.003.219) (სზ-6) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (#11) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციას.

გაცნობებთ, რომ შეთანხმებული გრგ-ს ფარგლებში წარმოდგენილი მთლიანი ტერიტორიის (ცალ-ცალკე ნაკვეთებად დაყოფამდე) გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული 133 ძირი საღი ხე (ხილ-კენკროვანი, ხმობადი, ზეხმელი და 8 ძირი დიდტანოვანი მოსაჭრელი ხის გარდა) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 239 ძირი მწვანე ნარგავი (35 ძირი ხე-ტიტა, 45 ძირი ქართული ნეკერჩხალი, 46 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 35 ძირი ქართული მუხა, 42 ძირი ჰიმალაის კედარი და 36 ძირი ესპანური სოჭი) **სრულად ითვისებს კ3-0.3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (8440 კვ. მეტრი).** გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-51 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

